№ 14 იანვარი 19, კვირა. 1886 იანვარი 19, კვირა № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 18 იანვარს.

მეორე დღესაც, ესე იგი, ჩვენებურად 4-ს და იმათებურად 16-ს იანვარს, ისევ პოლიაკების განდევნის საქმეს არჩევდნენ პალატაში. ასეთი გაცხარებული ლაპარაკი ჩამოუვარდათ, ასე გაებნენ ერთმანეთის კიცხა-კილვაში, რომ დილიდამ საღამოს შვიდს საათზედ ძლივ დაიშალნენ. დარბაზი პალატისა გუშინდლებურად აივსო, წევრნი პალატისანი სულ მოსულიყვნენ, გარდა «მოკავშირეთა რჩევისა». ხალხი, ქალი თუ კაცი, აუარებელი იყო მაყურებლად მოსული. ყველაფერს ეტყობოდა, რომ რაღაც დიდს საქმეს მოელიან. ჯერ მინამ პარლამენტის სჯა და ბაასი გაიმართებოდა, აქა იქ, კუთხეებში საშინელი ქდრიამული მოისმოდა: სულ ყოველგან ამ განდევნის საქმეზედ ლაპარაკობდნენ. ყოველის ყურადღება იმან მიიქცია, რომ დღეს მომხრენი ბისმარკისანი უფრო ბლომად მოგროვდნენო. თვითონ ბისმარკი არც ამ დღეს დაესწრო პარლამენტსა.

როცა თავ-მჯდომარემ მიიწვია ყველანი და დეპუტატნი თავ-თავის ადგილას დასხდნენ, წამოდგა ბისმარკის მომხრე დეპუტატი რეინბაბენი, ცხარედ გამოესარჩლა ბისმარკსა და ვინდგორსტს შეჰსწამა, მამულის სიყვარული გაკლიაო. რიკერტმა ძალიან მკვახე სიტყვებით განჰკიცხა ბისმარკის მოქმედება, უფრო უარესად შეამკო რეინბაბენი და ჰელლდორფი, რომელთაც გაჰბედეს და გამოესარჩლენ ამ უღმრთო მოქმედებასაო. პეიერმა ჰსთქვა, რომ ვერავინ ვერ გაკადნიერდება ეს ამისთანა ქცევა ბისმარკისა გულ-წრფელად მოიწონოსო და ამისათვის ჩემს ხმას, ჩემს კენჭს ბისმარკის წინააღმდეგ მოვიხმარებო. მშვენივრად ილაპარაკა თვითონ ვინდგორსტმა. ამან სხვათა შორისა ჰსთქვა, რომ პრუსიის პალატა კი არა, ეს ჩვენი პარლამენტია ერთად-ერთი ადგილი, სადაც ამ საგანზედ სჯა და ბაასი უნდა იყოს და სადაც გერმანიამ ხმა-მაღლა უნდა წარმოჰსთქვას თავისი რწმენა და აზრი მთელის გერმანიის და ევროპის წინაშე, უნდა წარმოსთქვას ის, რაც მას სიმართლეთ მიაჩნია იმისდა მიუხედავად, რასაც დაქრთამული ჟურნალისტები უბედობენო. თუ მთავრობას ეს არ უნდა, ჰსჯობს დავიხუროთ ქუდები და შინ წავიდეთო.

ყველაზედ ბოლოს ილაპარაკა დეპუტატმა ბამბერგერმა. მისი სიტყვა სამაგალითოა მჭევრ-მეტყველობისათვის, სხვა ამაზედ უმშვენიერესი, უბრწყინვალესი სიტყვა ბევრი არ გაუგონია თურმე გერმანიის პარლამენტსა. სიტყვა იყო გრძელი, დიდი დრო მოუნდა, მაგრამ მთელი პარლამენტი, მომხრენი თუ მოკამათენი, ისე მიიზიდა, რომ ყველამ სულ-დადებით, სულ-განაბვით მოისმინა. «მოვისმინე ყოველი ის, რაც აქ დღეს იყო თქმული, დაიწყო ესე თურმე ბამბერგერმა: მოვისმინე და გულზედ მომეშვა, ლოდი ამეხსნა გულიდამ. დღეს აქ თქმული სიტყვები განსწმენდენ ჰაერს გერმანიისას და ყველას დაარწმუნებენ, რომ იგი რასაც ოფიციოზებური ხმები გაიძახიან, არ ეშესაბამება გერმანიის ერის რწმენასა. ამ სახით, დღეს დიდი დღეა გერმანიისათვის: დღეს გერმანიამ უნდა აღიაროს ქვეყნიერობის წინაშე, რომ ხელმწიფობა, ბატონობა გერმანიაში სიმართლესა აქვს და კვლავაც ექნება; დღეს უნდა ვჰსთქვათ, რომ ეროვნულობა და კაცთ-მოყვარეობა ერთმანეთში მოსათავსებელია და არც ერთს, არც მეორეს ბარბაროზობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. თუ პარლამენტი დღეს ამას არ იტყვის, მაშ ღირსი არ არის, რომ კვლავ არსებობდესო». სიტყვა ესე დიდის ტაშით მიიღო დიდმა უმრავლესობამ პარლამენტისამ, წინააღმდეგი პარტია კი გაუჩუმდა.

ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, მოკლედ მოვიყვანეთ პარლამენტში თქმული სიტყვები. სხვა გზა არა გვქონდა. ხოლო რაც მოვიყვანეთ, იქიდამაც აშკარაა კაცი მიჰხვდეს,— თუ რა ძალიან გულ-ამღვრეულია გერმანიის ერი ამ უცხოთა ქვეშევრდომთა განდევნის გამო. ზოგიერთს დეპუტატს დაახლოვებით ესეც უთქვამს: როცა ჩვენ გვარჩევდნენ ჩვენი ამომრჩეველნი და გვანდობდნენ გერმანიის სვე-ბედსა, გერმანიის პატიოსნებას და სახელს, გვითხრესო, თქვენ იცით როგორც ყოველს ამას უპატრონებთ და მოუვლითო. უცხოთა ქვეშევრდომთა განდევნის საქმე იმისთანა საქმეა, რომელიც ყოველს ამა ჩვენდამი დავედრებულს ასე თუ ისე შეეხებაო. რა პირით-ღა დავბრუნდებით შინ, რა პირით-ღა შევეყრებით ჩვენდა მრწმუნებელთ, თუ პარლამენტმა ესეთი ქცევა მოუწონა ბისმარკსაო?!. არ გვეტყვიანო, ჩრდილით რად დააბუნდევით ბრწყინვალე სახელი ჩვენის ქვეყნისაო?!..

არამც თუ გერმანიამ, თვითონ, მთელმა ევროპამაც წუნი დაჰსდო ამისთანა შინაურ პოლიტიკას «რკინის კანცლერისას». ყველა დღესაც განცვიფრებულია,—ამისთანა ჭკვიანმა სახელმწიფო კაცმა, როგორიც ბისმარკია, ესეთი ცხადი შეცდომა როგორ ჩაიდინაო. მაგრამ ყველამ ესეც იცის, რომ ბისმარკი, ეგრეთი ძლიერი და ღრმად გამსჭვრეტელი გარეშე საქმეებისა, შინაურ საქმეებში მეტად სუსტია და ხშირადაც თითქო ბრმა არისო. ესეა თუ ისე, დღეს ეგ განდევნის საქმე კლდეა, რომელსაც ასე თუ ისე დაეჯახა ბედნიერი ხომალდი აქამომდე ძლევა-მოსილის ბისმარკისა. კლდე შეიმუსრება, თუ ხომალდი დრო გამოაჩენს.

დეპეშა

17 იანვარი

პეტერბურგი. მთავრობის მიერ გამოცხადებულია: «1878 წ. პრივი-

ფელეტონი

ჩემი აღსარება

(მეფელეტონეს თავ-გადასავალი)

О, какъ тяжела ты, шапка Мономаха!..

I

—არა, ბატონებო, უნდა მოვკურცხლო! უნდა გავიქცე, უნდა გადავიხვეწო, თუნდა ჯანაბას, მაგრამ მაინც უნდა წავიდე, უნდა გადავიხიზნო! ხუმრობაა?! კაცს ჭამა ჭამათ არ გაგაჩნდეს, სმა სმათ, ქეიფი ქეიფათ, კაცი საზოგადოებიდამ გამოწირული იყო, ტოლ-ამხანაგებში დავიწყებული, ნათესაობაში ყბადაღებული: «რა ბიჭი გაგვიფუჭდა, რა ბიჭი! რა იმედებს იძლეოდა ი შეჩვენებულიო!»—კაცმა არ იცოდე—განცხრომა რაა, მოლხენა რას ჰნიშნავს,—არა, მიბრძანეთ, რა მოხელე ხარ ქვეყანაზე ამისთანა კაცი?! მე კი... მე-კი სწორედ ამ ნაირი ვარ და... ვსცხოვრობ. ჰმ! ვსცხოვრობ!... განა ცხოვრებათ უნდა ჩაითვალოს ის კურდღლის ცხოვრებასავით შიშით მოცული ყოფნა, როცა ყოველ-დღეს, ყოველს საათს, ყოველს წამს სულ ერთი და იგივე გრძნობა გაშფოთებს, როცა სულ ერთსა და იმავეზე ჰფიქრობ... თავის ბუჩქ-ქვეშ ხომ კურდღელიც კი მოსვენებულია და თავისუფლად მიცემულია განცხრომას, მე კი არც ჩემ სახლში ვარ დამშვიდებული. ის საშინელი აზრი, რომელიც მე მტანჯავს და მიწყლულებს გულს არსად არ მაძლევს მოსვენებას, არც გარედ და არც შინ. ყოველს ჩემს მოქმედებას, ყოველს ჩემს სურვილს ის ამჩნევს თავის დაღს და უკარგავს სიტკბოებას. სადილათ ვზივარ და ვაპირებ მოლხენას—ერთად-ერთი წარმოდგენა იმ ჩემი მოვალეობისა მიჰკარგავს მადას; სტუმრათა ვარ სადმე—იგივე საგანი მაშორებს მასპინძელთან, მძინავს—საშინელი სიზმარი, იმ ჩემ მტანჯველ აზრთან შესაზევებული და მასზე დამყარებული, მიფრთხობს ძილს და ფეხზე წამომახტუნებს ხოლმე!... კვლავ და განმეორებით გკითხავთ ეხლა მე თქვენ: განა ეს ცხოვრება ცხოვრებაა?!...

* * *

ყველაზე უფრო ის მკლავს და მაწუხებს, რომ ამდენ ხანს ვერ გამიგია გარკვევით: როგორ და რისთვის ჩავარდი ამ ყოფაში, რომელ ეშმაკმა ჩამითრია ამისთანა განსაცდელში? ყმაწვილობაში თურმე ვერავინ ვერ შემატყობდა, თუ მე ამ გვარი მრავალ-წამებული კაცი შევიქნებოდი. პირ-იქით, სადაც მე დავიბადე, იმ სოფლის დედა-კაცები (წინასწარმეტყველობა ხომ ამათი საქმეა) ასე ანუგეშებდენ ჩემებს, რომ «ნუ გეშისთ, ფიქრი არაა,—ეს ბიჭი კაი ბიჭი იქნება, კოჭებში ეტყობაო!» ეს კარგი აზრი ჩემზე უფრო განმტკიცდა, როცა ერთხელ გადავუბულბულე ეპისტოლე მარიკას თამარ მრავალჭორიძისა-მიერ მოწერილი და ერთნაირად გავაოცე, როგორც თვით მარიკა, ისე მისი თანამეცხედრე, ვაჰმეხ ენაგრძელაძეც.

— შენ გეეზარდე დედაშენს! გრძნობით წამოიძახა ენაგრძელიძემ და თვალის დახამხამების უმალ გადამიკოცნა ორივე ლოყები.—შენ გენაცვალე, რავა მერცხალსავით ჩააჰიკჰიკა ბოლომდის? გაკვირვებით უთხრა მან დედა-ჩემს და თან დაამატა: «ამისთანა ბიჭი, დობამ, მეორე არ მოინახება ჩვენს არე-მარეში,— ხვითოა, ნამდვილი ხვითოაო!... *)

ვაჰმეხს თუმცა არ გადვუკოცნივარ და არც «ხვითო» დაურქმევია ჩემთვის, მაგრამ, ეჭვი არაა,—ისიც მეტად გაოცებული დარჩა ჩემი «კაი ბიჭობით.»

მან გაკვირვებით დამიწყო ცქერა ჯერ მე, მერე მამა-ჩემს, მერე კიდევ მე და კვლავ კიდევ მამა ჩემს, გადააქნია თავი და გადის-გადმოისვა ულვაშებზე ხელი.

— ეს ულვაში დამაფხეკე, მოძღვარო, ა, ეს ულვაში, თუ ე ბიჭი «კანტიტანტი», ან და «სტონონაჩალნიკი» არ გამოვიდეს,— დაბეჯითებით უთხრა მან მამა ჩემს და თავიან-ფეხებიანა გაეხვია ჩიბუხის ბოლში.

ჩემებიც, ამის გამგონე, კანში ძვრებოდენ, რომ რამე არ დაეკლოთ ჩემთვის და ჩემი «კანტიტანტობა» არ დასხლტომოდათ ხელიდამ. ჯერ ხომ, სანამ საჭირო იყო, კატის კნუტსავით მათრიეს სასწავლებლებში, მერე მიკრეს თავი რუსეთშიც (კი, მოძღვარო, ურუსეთოდ არ ივარგებს, დაემოწმა ვაჰმეხიც), და ამის შემდეგ სულ იმის ცდაში იყვნენ, როდის ჩამოვა ჩვენი «კაი ბიჭი» და როდის შეუდგება «კანტიტანტობასო?»

მეც ჩამოველი და «კანტიტანტობის» მაგიერ ფეხი შევყავ იმ წრეში, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს «კანტიტანტობასთან» და რომელსაც მწერლების წრეს ეძახიან. თქვენც იცით რა წრეა ეს წრე და რა დამოკიდებულება აქვს მას საზოგადოებასთან. ეს ორი სრულიად განცალკევებული ბანაკია, რომელთაგან პირველს არაფერი ჰსწამს მეორესი და მეორეს პირველისა. საზოგადოების აზრით, ლიტერატორი — დალუპული ადამიანია, რომლის აწმყო სავაგლახოა და მერმისი სამტიროლო. სიღარიბე, შიმშილი, მაწანწალობა,—ეს ის განუცალკევებელი რამეა, რომელიც თან შეზრდილია ლიტერატორის ცხოვრებასთან, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც საზოგადოება დიდის ხნით დაჩვეულია ყოველ-ნაირის საზრდოს—ხორციელის და სულიერის, ნისიად მოპოებას. მისთვის ჟურნალი თუ გაზეთი იგივე «პრიკაზია», რომელსაც უნდა გამოართვა, მაგრამ არ უნდა მისცე... აქედამ ადვილად მიხვდებით, რომ არც ლიტერატორია ნამეტანი კაი აზრის საზოგადოებაზე და თუმცა პირში არ აგინებს და ხანდა-ხან «პატივ-ცემულსაც» უწოდებს («ჩვენი პატივ-ცემული საზოგადოება იმ აზრისაა», «პატივ-ცემულს საზოგადოებას მოეწონა», «პატივ-ცემულის საზოგადოების თანა დასწრებით» და სხვა. იცოდეთ ნეტავ რას ჰფიქრობს ამ დროს ის, ვინც ამ «პატივ-ცემულს» საზოგადოებაზე სწერს), მაგრამ ეს მისთვის, რომ საზოგადოთ ზრდილობიან კაცებში არაა მიღებული პირში უთხრა კაცს, რომ დედა შენი კუდიანიაო. პირ-იქით კი, მოგეცათ სიცოცხლე, ღირსეულად ამკობდენ ამ «პატივ-ცემულ» საზოგადოებას...

თქვენც მიხვდებით, ბ. მკითხველო, რომ ჩემი გალიტერატორება და საზოგადოების თვალში ყოველ-ნაირის აბრუს გატეხა ერთი იყო. უცხოებმა, ე. ი. მათ, ვინც მე მიცნობდენ, მაგრამ დაახლოვებულნი არ იყვნენ, გაიგეს თუ არა ჩემი უბედურება, გააქნიეს ხელი, ვითომ და რაღა: «კიდევ ერთი მსხვერპლიო!» უფრო კაი ნაცნობებმა, რომელთაც ჩემთვის ცოტა გული შესტკიოდათ, ამ გვარ მოხსენებას რამოდენიმე გულ-შემატკივარი სიტყვებიც დაამატეს: «როგორ ადრე და მალე დაიღუპა საბრალოო!» ხოლო იქ კი, სადაც მე ვიყავი ერთად-ერთი ნუგეში და სადაც ჩემს «კანტიტანტობას» აღდგომის კვერცხსავით მოელოდენ, ჩემმა «გასულელებამ» ნამდვილი ალიაქოთი ასტეხა. ალიაქოთს თან მოჰყვა ლოცვა-კურთხევის გამოუგზავნელობა და ამ უკანასკნელს წყნარი, მაგრამ ხანგრძლივი გლოვა. «ჩემები» გრძნობდენ, რომ გადვუხვიე სწორ გზას და გლოვობდენ თავისებურად. იმისთანა ვაჟ-ბატონებიც გამოჩნდენ, თურმე, რომ მივიდნენ და მიუსამძიმრეს: «—ასე

---

*) ხვითო—ნატვრის თვალია.

სლიანის მხარეში აღმოჩენილ იქმნა პირველი მეცადინეობა სოციალ-სარევოლიუციო მოძღვრების გავრცელებისა მუშათა შორის. 1880 წლიდამ საიდუმლოდ შედგენილ ამხანაგობათა შეემჩნიათ, რომ თავიანთ წარმომადგენელთაგან აწყობენ რაღაცა საცენტრალო ორგანიზაციას. განზრახვად ჰქონიათ აღდგენა პოლშისა და დამყარება სოციალობის საფუძველზედ. ამისათვის ვარშავასა და სხვა რუსეთის დიდ ქალაქებში, სადაც კი ბლომად არიან პოლშელები, შეუდგენიათ სოციალ-სარევოლიუციო გმინები, რომელთაც «მუშათა მფარველ რჩევისათვის» კაცები უგზავნიათ. ვარშავაში საკუთარი სასამართლო ჰქონიათ. ამ სასამართლოს უნდა გაერჩია ყოველი დავა მუშათა და პატრონთა შორის და განაჩენები დაედგინა არამც თუ გასაფრთხილებელი, არამედ სიკვდილით დასასჯელიცა... ხოლო მაშინადვე, რაკი ამისი მოთავენი შეპყრობილ იქმნენ, ეს დაწყობილება დაირღვა და დაიშალა, დანარჩენთაგან რამდენიმე ახალი წრე შესდგა. აქედამ გამოსულა ერთი სარევოლუციო გუნდი, რომელსაც, მუშათა კამიტეტის წარმომადგენელთა შემწეობით, დაუდვია საფუძველი სოციალ-სარევოლუციო საზოგადოებისათვის და ამ საზოგადოებისათვის «პროლეტარიატი» დაურქმევია. ამ საქმეში მონაწილეობისათვის ორასი კაცი გამოძიებაში ჩავარდა; ამათგან 29 კაცი, როგორც სხვაზედ უფრო მეტი დამნაშავენი, სამხედრო სამართლისადმი გადაცემულ იქმნენ და დანარჩენი მიეცნენ ადმინისტრატებურს სასჯელსა. სამხედრო სამართალმა ჰსცნო: 1) საზოგადოებას, «პროლეტარიატად» [illegible] ნია დაამხოს ეხლანდელი სახელმწიფო, საზოგადოებური და ეკონომიური წყობა რუსეთისა და ამის შესასრულებლად სიტყვით და კალმით ხელი მიუყვია პროპაგანდისათვის, რომ უზენაესს უფლებას ნუ ემორჩილებითო, გაუმართავს საიდუმლო სტამბა, უბეჭდია გაზეთი «პროლეტარიატი», შეუდგენია კასსა, ვადავადაზედ ფულის მოკრება და დარიგება წესად დაუდვია, ჰქონია რევოლვერები, ხანჯლები, მათ შორის დაწამლულებიც, რკინის ხელ-კომბალები და საწამლავები, ტერრორით უმოქმედნია, რადგანაც თავისის საცენტრალო კომიტეტის განაჩენებით სიკვდილით უსჯია ღალატობაში შემჩნეულნი ღ აგრეთვე თანამდებობის მქონენი კაცნი, რომლის გამოც რამოდენიმე კაცის-კვლა მოუხდენია და ზოგზედ საკლავადაც უწევია; 2) შეჰკვრია პირობით სარევოლიუციო დასს «Народная Воля»-ს, საიდუმლოდ დაუწერია ოქმიცა, რომლის ძალითაც, სხვათა-შორის, ერთს «პროლეტარიატის» წევრს ვისმე კისრად უნდა ედო დელეგატობა «Народная Воля»-სი. ყველაზედ უფრო დაუცხრომელ ხელმძღვანელად აღმოჩენილა აზნაური კუნიცკი, რომელიც იმალებოდა თურმე ვარშავაში მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფის ბარდოვსკის სახლში. სახელდობრ ეს კუნიცკი ყოფილა «Народная Воля»-ს დელეგატი; აქედ-იქით უვლია ბოროტ-მოქმედების განზრახვითა, საზღვარ-გარედ სარევოლიუციო გაზეთი «*Walko Klas*» დაუფუძნებია, მეომარი გუნდი შეუდგენია და მოთავე ყოფილა ყოველ იმაში, რაც «პროლეტარიატს» კაცის-კვლა მოუხდენია და ან ვიზედაც სასიკვდილოდ უწევია. ამ სახით სასიკვდილო განაჩენების შესახებ ჰელშერისა და სკრჟიპჩინსკისა, არამც თუ [illegible] სახლში, არამედ თვალ-ყურიც უდევნებია თავისის აგენტების შემწეობით, აასრულებენ თუ არაო. კუნიცკი შეპყრობილ იქმნა ბორდოვსკის სახლში. ამ სახლში იკრიბებოდნენ თურმე ბოროტ-მოქმედნი, ამ სახლში უმალავთ სარევოლიუციო ქონება და თავიანთ-თავიცა. ბარდოვსკის სახლში აღმოჩენილა, გარდა სარევოლიუციო პროკლამაციებისა და სხვა საიდუმლო სტამბის ნაწარმოებისა, ბეჭდები საიდუმლო ამხანაგობათა, გადმოღებული სახეები მართებლობისა და საზოგადოებურ დაწესებულებათა ბეჭდებისა, საიდუმლო მიწერ-მოწერა, ბარათები, ხელ-ნაწერი პროგრამმები საცენტრალო კომიტეტისა, «Народная Воля»-სთან ხელ-შეკრულობის ოქმი და ბარდოვსკის საკუთარის ხელით დაწერილი სიგელი სამხედროთა მიმართ მეტად შეუწყნარებელის აზრისა. ბარდოვსკი იღწოდა-რა ამ საბოროტ-მოქმედო პროპაგანდისათვის სამხედროთა შორის, დაახლოვებია ინჟენერ-კაპიტანს ლიურის, რომელიც ბარდოვსკის შემწეობით გარეულა რევოლიუციონერებში და რომელსაც მიუცია კუნიცკისათვის ფული საზღვარ-გარედ წასასვლელად და სხვა-და-სხვა დროს უძლევია ფული «პროლეტარიატის» წევრთათვის სარევოლიუციო საჭიროებისათვის. მოქალაქეს პეტრუსინსკის აუსრულებია განაჩენი პოლშერის შესახებ, მოქალაქეს ოსსოვსკის—კონდუქტორ იპჩინსკის შესახებ და მოქალაქეს შმაუსს უწევია სასიკვდილოდ მუშა სირომსკიზე. ხსენებულ ექვსთა დამნაშავეთათვის 8-ს დეკემბერს განუჩენიათ სიკვდილით დასჯა. მეორე რიგი დამნაშავეთა, სულ რვა კაცია და ეკუთვნიან «პროლეტარიატის» დამფუძნებელთა რიცხვსა და პირ-და-პირი მონაწილენი არიან მუშათა მიმართ [illegible]. ერთი მათგანი [illegible]კი წევრია საცენტრალო კამიტეტისა და იბირებდა თურმე მოსწავლე ყმაწვილ-კაცობას და მეორე იანოვიჩი იარაღით ხელში წინაალუდგა თურმე პოლიციის მოხელესა, როცა იჭერდნენ და რევოლვერიც დაახალა თურმე პოლიციის აგენტსა და მძიმედ დაჰსჭრა. როგორც ეს რვა დამნაშავე, ისეც სხვა კიდევ თერთმეტი კაცი კატორღაში გასაგზავნად დანიშნულ არიან 16-ის წლით. ამ უკანასკნელთ შორის აზნაური ადამ სოროშევსკი გამტყუნებულ იქმნა იმაში, რომ სკრჟიპჩინსკის მკვლელებს გარდაჰსცა განაჩენი საცენტრალო კომიტეტისა და ერია მზადებაში, რომ ვარშავის სასამართლოს პალატის პროკურორის კამერა ნაღმით აეფეთქებინათ. ამათ გარდა ორი კიდევ სხვა კატორღაში გასაგზავნად დაინიშნა: ერთი 10 წლით, მეორე 8 წლით. დასასრულ პოდპორუჩიკები იგელსტრომი და სოკოლსკი, გამტყუნებულნი მასში, რომ ლიურის, ბარდოვსკის, კუნიცკის და სხვათა დახმარებით ჰყიდულობდნენ სარევოლუციო წიგნებსა და ჰშველოდნენ ზოგიერთ რევოლუციონერებს მთავრობას დაჰმალვოდნენ, განუჩინეს შორი ადგილი ციმბირისა საცხოვრებლად. განაჩენის დამტკიცების დროს ბევრს, რომელნიც საკატორღოდ იყვნენ დანიშნულნი შეუსუბუქეს სასჯელი, კატორღის ვადა შეუმოკლეს, ერთს კატორღის მაგიერ განუწესეს გაგზავნა შორს—ციმბირს, იგელსტრომი და სოკოლსკი გაიგზავნებიან ციმბირს სასჯელთა კანონების 31 მუხლის 1-ის ხარისხის მიხედვით. ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად მოწყალებით ბძანა: კაპიტანს ლიურის და მოქალაქეს შმაუსს სიცოცხლე ეპატიოთ და სიკვდილით დასჯის მაგიერ გაიგზავნონ კატორღაში სამუშაოდ 20-ს წლით. სამხედრო სასამართლოს განაჩენი ასრულებაში მოიყვანეს გუშინ 16-ს იანვარს.

პეტერბურგი. ამ წლისთვის უწმ. სინოდს გარდაეცა საეკლესიო-სამრევლო სკოლების საჭიროებათათვის 120,000 მან, 55,000 მან. მაგიერ, რომელიც წინად იყო დანიშნული.

უწმ. სინოდმა ბრძანება გასცა აკრძალოთ ახალის სამიკიტნოების დაარსება საეკლესიო და სამონასტრო მამულებზედ წვრილ-წვრილად სასმელების გასყიდვისათვის; ხოლო სამიკიტნოების პატრონებმა, რომელთა არსებობისათვის რამე შესაწყნარებელი მიზეზებია, უნდა მაინც-და-მაინც ნება-რთვა ეპარქიალურს მთავრობასა სთხოვონ.

«ნოვოე ვრემია» გვაუწყებს, რომ გუშინ ზღვათა სამინისტროს გამგებელს შესტაკოვს წვეთი დაეცა. გონება არ დაუკარგავს; გუშინ ავადმყოფი უკედ იყო, მაგრამ ბოტკინმა სთქვა, რომ ყოვლად სრული სიწყნარეა ავად-მყოფისათვის საჭირო და ამასთანავე გულდადებული მოვლაო.

«*Journal de St.-Petersburg*»-ი დაბეჯითებით უარ-ჰყოფს უცხო გაზეთების ლაპარაკს, ვითომ პეტერბურგში აღმოჩენილიყოს შეთქმულობა, ბევრნი დაეჭირათ, ვითომ პოლიციას ეპოვოს ყუმბარები, რევოლვერები, ხანჯლები და აღმაშფოთებელი პროკლამაციები. არაფერი მაგვარი არა მომხდარა-რაო.

ლონდონი. დედოფალი ორშაბათზე ადრე ვერ გადასწყვეტავს სამინისტროს გადადგომას საქმეს.

პარიჟი. ეჭვი აღარ არის, რომ შავის-მთის მთავარი პეტერბურგს მიემგზავრება.

კელნი. კვირას მოელიან აქ იტალიის ოთხს ჯავშნიანს ხომალდს და ერთს გემს.

და ასე, გაიგეთ თქვენი უბედურობა და გულითადი სამძიმარს გიცხადებთ ჩვენის მხრითო»... ამათ შორის არ რეულა ვაჰმეხი და ისიც იმიტომ, რომ, როგორც ჭკვიანი კაცი მიმხვდარა, რომ მგლოვიარე სახლში არ უნდა ახსენო სიკვდილიო. მაგრამ წყენით კი ყველაზედ მეტად თურმე მას სწყენოდა:

— ვაი შენ ჩემო თავო, როგორ დაღუპულა მოძღვარიო! უთქვამს ძველს მეგობარს და უტკეცია შუბლში ხელი.

მე ის მკლავს და მაბრაზებს უფრო, რომ სოფლის მეჭორე დედაკაცები რაღა სახსენებელია, ხომ,—ისინიც კი გადამეკიდნენ მტრად: აქაო და როგორ წავიდა მჯლაბნავათო! უნდა გამოგიტყდე, მკითხველო, რომ ამ დედა-კაცებთ შორის ბევრი ტალეირანები იყვნენ და, როგორც მოგეხსენებათ, მოხნიერებული დედა-კაცების ამბავი, მომწიფებული ქალიშვილებით გარშემოზღუდულნი. რაკი ვაჰმეხმა მოჰფინა ამბავი, რომ მოძღვარს «საკანტიტანტო» შვილი ეზრდებაო, ზემოხსენებულის კრუხების ყურადღება მოიქცა ჩემზედ. დღე არ გაივლოდა, რომ ერთი მათგანი მაინც არ მოსულიყო ჩემთან და არ გადმოეშალა თავისი ქალიშვილის ღირსება.—«ცხვირ-პირი, თვითონაც ხედავთ, კალმით ნახატი აქვს, სიტყვა-პასუხი — თქვენგან მოწონებული, ზნეობით მტრედია და მზითვი—კნიაზის ქალსაც «ეკადრება» (ე. ი. ხუთი ქცევა რიყე და იგიც ბანკში დაგირავებული). ამასთან, რასაკვირველია, ყველა ეს ქალბატონები რისხავდენ ერთი მეორეს და აძაგებდენ სხვის ქალიშვილებს:

— უიმე! ღმერთო კი მომკალი, როგორ გაბედა იმ ურცხვმა მისი გომბიოს შემოძლევა და სხვა.

რაც უფრო გაშმაგებული ჰკიცხავდენ ერთი მეორეს: ყველა ეს «მაძიებლები, მით უფრო აზვიადებდენ ჩემს ღირსებას და მიკმევდენ საკმეველს. მათის სიტყვით, მეტის-მეტად შნოიანი და მოხდენილი ბიჭი ვიყავი.

— ალვის ხეა, შენი ჭირიმე, ალვის ხე! ამბობდენ ჩუმად, ჩემს გასაგონად და მიგზავნიდენ ქადა-ხაჭაპურს.

ერთხანს მეც ვუცქერდი ამ სეირს და შევექცეოდი ნაძღვნ ქადა-ხაჭაპურს. როგორ ვფიქრებდი, თუ ერთს დღეს ეს ყოვლისფერი ჩამწარდებოდა და დამატყდებოდა თავზე. ნუ იტყვით, აკი აგრე არ მოხდა! ჩემმა «გალიტერატორობამ» სულ მტრად გადამკიდა ეს ტაბაკელას*) პატივ-ცემული კრება. რაები არ მოიგონეს ჩემზე:—ბატონო, რომ არ მოგვცა, შენი ჭირიმე, საშველი— ელაპარაკებოდენ ერთი მეორეს ეს ჩემ-გამო ერთი მეორეზედ გადაკიდებული დედები,—მომეცი შენი ქალიშვილი და მომეციო! რისთვის, ბატონო, მე შენ გეტყვი, ჰკუა უვარგა, ან შეხედულობა?—ჩემი ნატო იმას? მეტი არ მიეცა მას სიკეთე! კაცს მაინც ჩამოგავდეს, შენი ჭირიმე, აწოწილა სამრეკლოს კიბესავით და სხვა.

ერთის სიტყვით, რაღა გავაგრძელო: ჩემ კუთხეში მე გადამიტეხეს ჩხირი და, როგორც ერთი რამ ურგები ნივთი, გადამისროლეს ღობის გადაღმა. ეს ქნა სულ ჩემმა გალიტერატორებამ. ახლა ენახოთ ისიც, რა სიტკბოება ენახე მე ამ ხელობაში.

⁂

ამის გამოსაკვლევად, ნება მომეცით აგიწეროთ ჩემი საყოველ-დღეო ცხოვრება. ეს ცხოვრება ნამდვილი ჭაპან-წყვეტაა. რომ ვინმე შემოვიდეს ჩემთან და მადევნოს თვალი, როგორ გავრბი-გამოვრბივარ ჩემს ოთახში, ან და, ტახტზედ წამოწოლილი, როგორ მივჩერებივარ, დაფიქრებული, ჭერს,—იტყვის—ეს სწორედ გიჟიაო. არ დაიჯერებთ ხომ: ხან-და-ხან ისე გაშტერებული ვარ ფიქრით, რომ პაპიროსი რომ მთხოვოთ, შანდალს მოგაჩეჩებთ ხელში და «გამარჯობა» რომ მითხრათ—შეგიკურთხებთ ქართულად. რისთვის? მკითხავთ. მისთვის, ბატონებო, რომ, როგორც ამ ფელტონის თავში მოგახსენეთ, ერთი აუცილებელი აზრი მუდამ თან დამყვება და მიწამლავს სიცოცხლეს. ეს აზრი არის იმ ფელტონის, იმ ხელნაწერების გამო, რომელთაც დანიშნულ დროსთვის უსათუოდ უნდა მივიტანო რედაქციაში. ოხ, საბრალო ხელ-ნაწერები! რა წრფელის გულით მძულან მე და როგორ ვძულვარ მეც იმათ! ჩვენი ტკბილად მოთავსება ერთმანეთში შეუძლებელია: ეს რომ გაიგოთ თქვენ, უნდა იცოდეთ, როგორ ვწერ მე საკუთრივ, ან და როგორ სწერენ ფელტონს საზოგადოდ ყველანი.

პირობით, მე ყოველს ხუთშაბათს საღამოს ერთი ფელტონი უნდა წარვადგინო რედაქციაში რუსეთის ცხოვრების შესახებ, ერთი «სახელდახელო» კვირაში და, ამას გარდა, უნდა დავეხმარო რედაქციას წვრილმანს საქმეში. ჩემი მკვლელი ის ორი ზემომოყვანილი საწერებია. საქმე იმაშია, რომ ეს «სახელდახელო» ისე უნდა შევადგინო, რომ არც ვისმეს ქება გამოდიოდეს, არც ნამეტანი ძაგება და არც ქება და ძაგება ერთად. მოდი და ამისთანა ბეწვის ხიდზე გადი! სარუსეთო ფელტონის შედგენას ნუღა გამახსენებთ: ნამდვილი სიკვდილია ჩემთვის... დაავლე ხელი იმ ხუთმეტ ზეწარს, რომელსაც გაზეთს ეძახიან, გადაიკითხე სულ ის სისულელე, რაც მათში სწერია, და ამოარჩიე ამდენ სისულელეში სამი-ოთხი სისულელე, რომელიც ჩვენს «პატივცემულ» მკითხველს ჭკუიან რაიმედ უნდა დაანახო! ჰკითხულობ, არჩევ, ჰფიქრობ, ჰფიქრობ და, დასასრულ, ვსთქვათ, ჰპოულობ რასმეს. ახლა იმაზე ცოდვილობ, როგორ გადაება ერთმანეთზე ეს ორი-სამი გადაუბმელი საგანი, რომ ყველას აამოს.

მიდიხარ და მიუჯდები საწერ სტოლს. «მარჯვნივ» გეჩვენება,—რედაქტორი ჰზის და დაკვირვებით გიყურებს: «არ გაგიწყრეს ღმერთი, სისულელე რამ არ მოჩმახოო!» «მარცხნივ რამოდენიმე ასს მკითხველებს ჰხედავ და თვითოეული მათგანი გეუბნება: «მეც რომ მომეწონოს, მეც რომ მომეწონოს, იმისთანა რამეო!» პირ-და-პირ სტოლის გადაღმა ზედამხედავი ბრძანდება და არც «ჰოს» ამბობს, არც «არას», ოღონდ თავის წითელს ყარანდაშს ატრიალებს ხელში. დასასრულ, თვითონ შენში ის დიდი ბატონი დაბუდებულა, რომელსაც «მე თვითონს» იძახიან, რომელიც ეხლა უყურებს შენს ჭაპან-წყვეტას და ჩუმად, მაგრამ შხამით სავსე სიცილით დაგცინის: «საწყალო, რა სულელი ყოფილხარ, რაზედ ალევ შენს სიცოცხლესო!..» რა კაცი უნდა იყო, მითხარით ეხლა, რომ ამდენს განსაცდელს გზა აუარო და ღვთისაგან ბოძებული ტვინი შეურყეველი დაინარჩუნო?!..

კარგი ეხლა, როგორც იქნა, ვსთქვათ, დასწერე ფელტონი და მორჩი. როგორ გგონიათ, გათავდა თქვენი განსაცდელი?—სრულიადაც არა!..

ახლა მეორე უფრო სხვა-ნაირი წამება მოგელის: მიგაქვს ხელ-ნაწერი რედაქციაში და ჰფიქრობ: «ვაი თუ ის რედაქტორი, რომელსაც მე ვხედავდი ჩემს გვერდით, წერის დროს, ნამდვილი რედაქტორი არ იყო! ვაი თუ რაც იმან მომიწონა და რაზედაც

---

*) ტაბაკელა ერთი მთაა იმერეთში, რომელსაც იმისთანავე მნიშვნელობა აქვს, რაც ბრუტ-საბძელს ქართლ-კახეთში: იქ ვითომ იკრიბებიან კუდიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონი. დედოფალმა დაამტკიცა სალისბერის გადადგომა სამინისტროდამ.

ბერლინი. პოლშელების საქმის განხილვის დროს სეიმის მიერ, თავადმა ბისმარკმა სთქვა, რომ რადგანაც პოლშელები დაუსრულებელს შფოთსა და ამბოხს ავრცელებდნენ პოლშის შემოერთების დროს მეფის მიერ აღთქმული დაპირებანი აღარც სავალდებულონი არიან ტახტისათვის და აღარც შესასრულებელნი ამის გარდა მმართებლობა თავის დღეში არ დასთანხმდება, რომ პოლშა აღადგინოსო, რომ პოლშელების რიცხვი უნდა შემცირდესო. აი მიზეზი, რისთვისაც სდევნის პოლშელებსაო და შემდეგაც ამ გზას არ გადაუხვევსო, რაც უნდა გადასწყვიტოს რეისხტაგმაო. სჯა დღეს არ გათავდება და ხვალაც იქნებაო.

იანვრის 18.

პეტერბურგი. ბესარაბიის თავად-აზნაურობამ დეპეშით მიჰმართა შინაგან საქმეთა მინისტრს რათა იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე და მადლობა გადაუხადოს ახალი მეფურის მოწყალებისს— სათავად-აზნაურო ბანკის დაარსებისათვის. დეპეშაში მოხსენებულია; თავად-აზნაურობამ იცის, რომ მისა აღდგენა ჯვრით და მასთან ერთად სრულიად რუსეთისაც; მას ხელ-ახლად უპირავს ყველგან ბრძოლის ბანაკი და ნებას არ მისცემს იდუმალს ბოროტ-მოქმედთ და მტაცებელთ ხალხა აღრიონ და ცარცონ; თავის შესახებ იგი არას ფიქრობს, მხოლოდ ითხოვს მფარველობას და ყურადღებას და ერის ინტერესების დაცვას. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა: მადლობა გადაეხადოს ბესარაბიის თავად-აზნაურობას.

დღეს სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილება მოსკოვში იწყობს თავის მოქმედებას სესხის გაცემის შესახებ.

დღეს საღამოზედ გვამი პრინცის ნიკოლოზ პეტრეს ძის ოლდენბურსკისა მოსვენებულ იქმნება სერგიევში და დასვენებენ აღდგომის ეკლესიაში. ხვალ წირვის და პანაშვიდის შემდეგ, დასაფლავებულ იქმნება ოლდენბურგ პრინცების საგვარეულო აკლდამაში.

ზღვათა სამინისტროს გამგებელი შესტაკოვი ეხლა უფრო უკედ არის.

როგორც ისმის, მალე დამტკიცებულ იქმნება პროექტი იმის შესახებ, თუ რა პასუხის გებაში უნდა იყვნენ ფაბრიკების და ქარხნების პატრონები, როდესაც მუშები მოკლულ ან დამახინჯებულ იქმნებიან მუშაობის დროს.

ლონდონი. დედოფალმა მიანდო გლადსტონს ახალი სამინისტროს შედგენა.

ათინა. ოფიციალურად უარს ჰყოფენ, ვითომ საბერძნეთის მთავრობა ემორჩილებოდეს სახელმწიფოთა ნებას.

ახალი ამბავი

⁂ 17 იანვარს პეტერბურგის ბირჟაზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ათ თუმნიან გირავნობის ფურცლებში უძლევიათ 94—94$^1/_4$ მან. და ქუთაისისაში 93$^1/_2$, მაგრამ გამსყიდველნი არ აღმოჩენილან.

⁂ სოფ. ველის ციხიდგა გვწერენ: «ჩვენი სოფელი ახლა კი დაბად უნდა ჩაირიცხოსო, რადგანაც აფთექაცა გვაქვს, ფერშალიცა გვყავს, ორ-კლასიანი სკოლაც გავმართეთ, ჰერემის ხევიც შევამაგრეთ. ასე რომ ველარ შეიძლებს ჩვენ სოფელზედ გადმოვარდნას და სოფლის აკლებასაო. თუმცა ერთის მხრით კარგი ვქენით, რომ ჰერემის ხევს ნება არ მივეცით ჩვენ მარნებში სავსე ღვინის ქვევრები ეშინჯა სირაჯივით, მაგრამ მეორეს მხრით კი ვიზარალეთ, რომ სოფლის ნაგავს ველარ ჩამორეცხავს ხოლმე. არ იქნება ურიგო ჩვენმა მამასახლისმა მიაქციოს ყურადღება სოფლის უწმინდურობას...»

«აგრეთვე ვთხოვთ მიაქციოს ყურადღება ერთს ნაკლულევანებასაც: ველის-ციხელებს ერთად-ერთი ბაზრის ქუჩა გვაქვს და ისიც ისეთი ვიწროა, რომ ურემი ძლივს გაივლის ხოლმე. საჭიროა, რომ მამასახლისმა ცოტა უკან დააწევინოს იმათ, ვინც ახლად იწყობენ ქუჩის პირად დუქნების შენობას...»

⁂ სოფ. ურიათ-უბნიდგან გვწერენ: ძლივს გველირსა სკოლის და მღვდლის სახლის აშენება. მართალია, ხალხი ძლიერ შეწუხდა ამდენის გადასახადით, მაგრამ რამდენად კმაყოფილნი ვართ, როცა ვხედავთ ჩვენს სოფელში საჩენ ადგილას, გზის პირას ორს გამოჭიმულს მშვენიერს შენობას, რომელიც სოფლის თვალის ჩინს შეადგენს; სოფელივე ზრუნავს, რომ გაფუჭებული გზები მალე გაკეთდეს ხოლმე, ისე რომ იმედია ოდესმე შევესწროთ ჩვენს სოფელში ლაზათიან ფართო და ვაკე გზებს, რაიცა ჩვენს გლეხებს დიდს შეღავათს მისცემს.»

სოფ. შაშიანიდგან გვწერენ: «კარგა ხანია ჩვენ სოფელში ლაპარაკია სკოლის გამართვის თაობაზე. მართალია, ბევრს არაფრად ეპიტნავება სკოლა, მაგრამ ძალა აღმართსა ჰხნავს. აგერ შემოდგომაზედ მაზრის უფროსმა გამოგვიცხადა: თუ თქვენ ნებით სკოლას გამართავთ ხომ კარგი, თუ არა და ძალით აგაშენებინებთ და მაშინ უფრო ბევრი დაგეხარჯებათო. მართალია, ახლა სოფელი მოსურნეა სკოლისა, მაგრამ კაცი არა გვყავს მოთავე, რომელმაც სკოლის თადარიგი იცოდეს და გაგვიმართინებინოს რიგიანი სკოლა.»

⁂ გაზ. «კავკაზს» ატყობინებენ, რომ ტფილისში კვლავ უნახავთ წითელით ავად-მყოფი ბავშვებიო. თუმცა ამ სენს გადამდები ხასიათი აქვს, მაინც ძალიან საშიშო არ არისო, რადგანაც ყმაწვილები ადვილადა ხდილობენო. თელავისა და სიღნაღის მაზრებშიაც გამოჩენილა წითელა. მაზრის ექიმს განკარგულება გაუცია, ყოველ-გვარი ღონის-ძიება იხმარონ და შეძლებისა-და-გვარად ხელი შეუშალონ მის გავრცელებას.

⁂ ჩვენ გვწერენ, რომ წარსულს წელს გამოჩენილი საქონლის ჭირი თან-და-თან ჰქრებაო. ამ ჟამად ზოგიერთს ტფილისის მაზრებში ძალიან შემცირებულია და ზოგიერთებში-კი სრულიად მოისპოვო. (გაზ. «კავკაზი»).

7 *** იანვარს მე-10-თე განყოფილებაში ტფილისის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ცაგარელი გაუქურდავთ. წაღებულია სხვა-და-სხვა ოქროსი და ვერცხლის ნივთები 306 მან. და ერთი თამასუქი 140 მანათისა. გაქურდულს გამოუცხადებია, რომ ეჭვი ქუთაისის გლეხს ნესტორ ბაქურაძეზე მაქვს, რომელიც უწინ ჩემთანა მსახურებდაო. ბაქურაძე დატუსაღებულია. გამოძიება სწარმოებს.

⁂ იმავე დღეს მე-4-ხე განყოფილებაში გენერალ-მაიორის შკურინსკის სადგომს ცეცხლი მოჰკიდებია. მიზეზი ბუხარის მეტის-მეტი გახურება ყოფილა. ცეცხლი ცეცხლ-მქრობელ კომანდას უკვე გაუქრია.

ნაკვესი

შამილი პეტერბურგში ერთს ბალში იყო თურმე მიწვეული. რა თქმა უნდა, გმირი დაღისტნისა ადრე ძილს ჩვეული იქმნებოდა და შუა ბალის დროს ძილი მორია და დაამთქნარა. ერთს ვიღაცა ბალში მყოფს ხმა მაღლივ წინ-დაუხედავად წამოსცდენია:

— არ ჩამულაპოს ამ ტყის ნადირმაო.

შამილი მიუბრუნდა თურმე თავის მოენეს და ჰკითხა, რა ჰსთქვა იმ კაცმაო. მოენემ გადუთარგმნა.

— მოახსენეთ მაგ დარბაისელს ჩემ მაგიერ, რომ ნუ ჰშიშობს, მე მაჰმადიანი ვარ და — ხორცს არ ვხმარობო, უთქვამს შამილსა.

ფ

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის თავად-აზნაურობა და საზოგადოდ მამულის პატრონები იმავე გაჭირებაში არიან, როგორც ჩვენში; მამულები თითქმის სულ დაგირავებული აქვთ, ვალში იხრჩებიან და არ იციან საიდგან რა უშველონ. ფინანსთა მინისტრმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და ამ რამდენიმე წლის წინად განიზრახა სათავად-აზნაურო ბანკების დაარსება, რომ ცოტა რამ შველა მაინც მიეცა მამულების პატრონებისთვის. მაგრამ აი რა დაბრკოლება გამოჩნდა გაზეთის «Русскія Вѣдомости»-ს სიტყვით:

> სხვა-და-სხვა ბანკებში დაგირავებული მამულების ვალი 200 მილიონ მანეთამდინ ადის. თუ მართებლობას განზრახვა აქვს სათავად-აზნაურო ბანკების

ნება დამრთო, სულ გამოუდეგარი გამოჩნდეს ამ მეორე, ნამდვილის რედაქტორის თვალში. ისიც საფიქრელია, ჩემს სტოლთან რომ ჩემგან წარმოდგენილი ზედამხედავი ასე გულ-ლმობიერად ატრიალებდა ყარანდაშს და თითქო არაფერი ცუდი განზრახვა არა ჰქონდა ჩემი ფელტონის წინაალმდეგ,—ახლაც იმ გვარად მოექცევა მას, თუ არა? დასასრულ, რას იტყვიან მკითხველებიც, ის მკითხველები კი არა, ჩემთან ერთად რომ ჩამომწკრივებულიყვნენ სტოლთან,—არა, ნამდვილი მკითხველები, რომელნიც თვითო თუმნიანს იხდიან წელიწადში გაზეთის ფასად? მოეწონებათ მათ ჩემი ფელტონი, თუ უკუაგდებენ კუთხეში, ზედაც არ შეხედვენ და ჩაილულის წყალს გაატანენ.

ყველა ამ წეწვა-გლეჯის გარდა, არის კიდევ ზოგიერთი რამ სხვა, რაც მე მტანჯავს მეტის-მეტად და სევდით მივსებს გულს. ეს ჩემი საოცარი უძლურებაა ერთის მხრით და კიდევ, საოცარი და მართლა რომ სასაცილო ძალ-გულოვნობა მეორეს მხრით!... არ დაიჯერებთ ხომ, არსენალის ქუჩაზე, სადაც მე ვსცხოვრობ, ეს რამოდენა თვეა, რომ ფეხის გადადგმა არ შეიძლება გარედ,—ისე ამყრალებულია ყოველისფერი სიბინძურით. ვცდილობ და ვერ დამიწერია,—გაეწმინდოთ-მეთქი!.. სამაგიეროდ, ნეტავ განახვათ, როგორ შევდივარ უცხო ქვეყნების სამინისტროებში!—აფთარი, ნამდვილი აფთარი! როგორ? ვინა? სალიუსბერიმ წარმოსთქვა სიტყვაო?! ჩვენი შეურაცხყოფა გაბედა მანო? ჩვენ გვაკადრა მუქარა? ვინ არის ეს სალიუსბერი? სადაურია ეს სალიუსბერი? რომელია ეს სალიუსბერი? ზღვევა! შურისძიება!

გამოგაქვს სტოლის უჯრიდამ ქაღალდი და იწყებ:

«თავ-გასული და წინ-დაუხედავი ქცევა ინგლისის პირველი მინისტრისა საჭიროა, რომ არ დარჩეს ჯეროვნად აუწონელი ჩვენი საზოგადოებისაგან. დროა ჰსცნოს თავ-დაუჭერელმა და ლაგამ-აუდებელმა მინისტრმა, რომ ჩვენ მუდამ გულ-მოშვებით არ შევიშვნებთ მის თავ-გასულ კადნიერებას და ვეცდებით, სამაგიერო და სხვა...»

აქ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, «ფრთას აკვეცთ მის ცურ-მედიდობას», ე. ი. ლაპარაკობთ ჰერათ-თურანის ხელში ჩაგდებაზე და, დასასრულ, შეგყავსთ ორასი ათასი დარჩეული ჯარი თვით მაშიკ-მალრიბში... რაებს ჩადიხართ მერმედ ამ ქვეყანაში,—სწორედ გასაოცარია! ინგლისელებს ხომ ჯერ, რასაკვირველია, კუდით ქვას ასროლინებთ, ბუქს და მტვერს აყრით თავზე, მაშიყ-მაღრიბელთათვის მზე და მთვარე ამოგყავს. ჰსჭექ და ჰქუხ, ასე და ისეო, კორიანტელს აყენებ! ერთის სიტყვით, რომ დააკვირდეთ და გაარჩიოთ კარგად ჩემი ვაჟ-კაცობა ამ შემთხვევაში,—უბრალო მეფელტონე კი არა, არაკებური ამირანი ვარ ნამდვილად...

ესეც იქონიეთ სახეში, რომ ამისთანა ვაჟ-კაცობას მარტო ინგლისელების შესახებ კი არ ვიჩენ,—არა, საყოველთაოდ, მთელი ევროპის და, თუ გნებამთ, აზიის დასათრგუნავადაც! ბ-ნი ფრეისინეს შეჰსცდა, ვსთქვათ, რამე—უსწორებ, არ შესცდა—მაინც უსწორებ, ბისმარკმა რამე ახალი ხრიკი მოსდო ვისმეს—ჰკიცხავ, ჩაუფიქრდა რასმეს— ურჩევ, კლემანსო, რაღაც მიზეზისა გამო, ალაპარაკდა ცხარედ—არ უწონებ, ხან-და-ხან თვით ხვანთქარსაც აძლევთ შენიშვნას და თან აფრთხილებ, რომ თუ ასე და ასე მოიქეციო!..

წვრილ-ფეხ სახელმწიფოებზე რაღა ვილაპარაკო, იმათ ხომ კალმის წვერით გმირავ და საწერელში ალრჩობ; იმათთანა უბედურნი ჩემს ხელში არაფერია ქვეყანაზე! თითქმის სულ ყოველ-დღე ახალ-სამხლერებს ვაძლევ და ახალს განსაცდელში ვაგდებ საცოდავებს! ხან სულ ვუსპობ არსებობას, ხან ყაბულსა ვარ განუმტკიცო სახეალიო ბედნიერება და თუ იმათ ბედობაზე კუჭიც მომეშალა, ვაი მათი ბრალი: დედა-მიწის ზურგიდამ მტვერსავით ავგვი,—ერთის სიტყვით, ვარ და ვარ, მერმე სადა?—ჩემს პაწია ოთახში!..

⁂

ზოგიერთს მკითხველს, შეიძლება, გაეცინოს ზემო-ნათქვამის გამო, მაგრამ, პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ ჩემისთანა გულ-წრფელად არავინ იცის, ჩემს ყოფაზე. მე თვითონ ვცნობ, რომ ჩემი ყოველ-დღიური მოქმედება იმ ჭიანჭველას ჭაპან-წყვეტაა, რომელმაც ლომის გადაყლაპვა მოინდომა თურმე... ამას მე თვითონ ძალიან კარგად ვხედავ, ვგრძნობ კიდეც, მაგრამ რაღაც იმ ნაირია ჩემი სვე-ბედი, რომ ამ სასაცილო ჭაპან-წყვეტიდამ თავი ვერ დამიხსნია. ბედის-წერაა, სხვა რა უნდა იყოს, არ ვიცი?!..

ჩემი წამება მარტო იმაში არ მდგომარეობს, რაც ზემოდ მოგახსენეთ. უარესის უარესი, ამბობენ, არ დაილევაო ქვეყანაზე! ჩემი საქმეც ასეა.

მაგალითად, მოხდება ხოლმე, რომ ხან-და-ხან გროში არა გაქვს ჯიბეში. აქეთ, სახლის პატრონი ჩაგცივებია და არ გეშვება: მოიტა ფულიო; იქით, მრეცხველი ერთს ალიაქოთშია—მანათ ნახევარი იყო შენზედ და ეხლა კი ორ მანათამდის ავიდა,—რას მიპირებ, რომ აგვიანებო? შენ გესმის ეს ყოველიფერი, მაგრამ ცდილობ არ ათხოვო ყური. ამასთან ისიც იქონიეთ სახეში, რომ თამბაქოიოხ! სადილის ფულს—ხვანთქარი თუ გამოგიგზავნის, თორემ არ მოგექებნება არსად,—შენ კი ამ დროს მიჯდომიხარ სტოლს და ჰსწერ,—რასზე, როგორ გგონია, მკითხველო?

— ბიუჯეტზე!.. სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ხაზინის მდგომარეობაზე,—მაშ!

ჯერ, შენ ხარ ჩემი ბატონი, იწყებ გერმანიიდამ: ვითომ აქვს ნემცებს საკმარისი ფული, თუ არა-მეთქი? ითვლი, ითვლი, ეს შემოსავალი, ის გასავალი, ეს შემოსავალი, ის გასავალი და ჰხედავ—ვაჰ!—ცუდათაა საქმე! არ ჰყოფნის!—ჰსტუქსავს ხაზინის ფლანგვისათვის ბისმარკის ხალხს. გადადიხარ მერმე საფრანგეთში. იქაც ისე იმ გვარად ურევ ხელს ხაზინაში და ანგარიშობ თვითო ფრანკობით. ატყობ, რომ ამ ბოლოს დროს იქაც შეუმსუბუქებიათ ჯიბე. კვლავ მოგდის გული და კვლავ წყრები, ამცნევ ფრანსიელებს, რომ საკოლონიო პოლიტიკა მათი საქმე არ იყო!.. მიბრძანდები მერმე ინგლისში და იქ კი სულ სხვას ხედავ: ფინანსები კარგს მდგომარეობაში არიან, მაგრამ ახლა სხვა გაწუხებს: ვაი თუ ეს ფულები ინგლისელებმა გაფლანგონო და აფრთხილებ; ჰეი, არამც-და-არამც არ გაფლანგოთ-მეთქი!.. და ამ დროს კი კარებიდამ სულ ერთი და იგივე, ჩვეულებრივი ჰიკჰიკი გესმის.

— არა, შე დალოცვილო, იმას მაინც არ მეტყვი, როდის აპირობ ამ ორ მანეთ-ნახევრის მოცემასო?

წამებაა, წამება, მე და ჩემმა ღმერთმა!

—

სადღეისოდ ესეც კმარა. ხოლო რაც შეეხება მეფელტონის და, საზოგადოდ, გაზეთის თანამშრომლის სხვა გვარ უბედურობას და ათას ნაირს შევიწროებას რედაქტორის და მკითხველების მხრით,—ამაზე, თუ დარი დამიდგა და არც რედაქტორმა იწყინა, შემდეგ საკვირაო ფელეტონში მოგელაპარაკებით.

ილ. ხონელი

დაარსებით რამე საშველი მისცეს გაჭირვებულ მამულის პატრონებს, მაშინ ეს ვალიც ამ ბანკებზე უნდა გადიტანოს. ამ შემთხვევაში მართებლობას მოუხდება ამ ხანათვე 150 მილიონი მანეთი გადადოს ამ საჭიროებისათვის. საიდგან უნდა აიღოს ეს ფული? მოსაჭრან კიდევ ქალაქდის ფული საშიშარიც არის, და არც შესაძლებელია, რადგან დიდი ხანია თვითონ ფინანსთა მინისტრი ცდილობს ამათ შეცოტავებას. მეტი ჯანი და ღონე არ არის, სახელმწიფო ხაზინამ უნდა იკისროს ეს ფული, მაგრამ თითონ ხაზინას ამოდენა ვალის მიმატება უფრო საქმეს დაუხლართამს.

კიდეც ეს არის დასაფიქრებელი. ბოლოს და ბოლოს მაინც ეს ხაზინის ხარჯიც ისევ სხვებს დააწვებათ კისერზე.

> ასე იქნება, თუ ისე, განაგრძობს გაზეთი, თავად-აზნაურთა გაჭირებას ბოლო რითიმე უნდა მოეღოსო: სესხის მადა ისე გასძლიერებია თავად-აზნაურობასაო, რომ ეხლა არამც თუ შუამდგომლობენ მინისტრის წინაშე ბანკების დაარსებას, თითქმის ვალდებულად ჰხდიან მინისტრს, უთუოთ უნდა აგვისრულო ჩვენი თხოვნაო: რაკი საქმე ასეა, უკან დახევა ძნელიაო.

ჩვენის ფიქრით, თავად-აზნაურობა ტყუილად მოელის ბანკებისაგან ზეციურს მანანას, ბანკები ვერ გამოიხსნიან გაჭირვებიდამ. შორს რომ არ წავიდეთ, გამოცდილებით მაინც უნდა დარწმუნებულიყვნენ თავად-აზნაურნი, რომ ეს ასეა. ვინ ამბობს, ბანკს დიდი მნიშვნელობა აქვს, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, ბანკი აუცილებელი საჭიროებაა ეხლანდელს დროში, მაგრამ მხოლოდ იმისთანა ბანკი, რომელიც ცხოვრების საჭიროებით, ცხოვრების მოთხოვნილებით არის გამოწვეული.

⁂

ამა სოფლისა ცხოვრება ვერცხლით არ მოიპოვებაო, სთქვა ერთმა ჩვენმა პოეტმა. ნეტავი გამაგებინა, სხვა რითათი შეიძლება ამისი მოპოვება? ეს სოფელი ისეთი უხამსი და უმადურია, რომ შენი სიცოცხლეც რომ მას შესწირო, მაინც მის მადლობას ვერ დაიმსახურებ:

ვის არ ახსოვს საფრანგეთის ორატორი გამბეტა? ვინ არ იცის რა განსაცდელისაგან დაიხსნა მან თავის სამშობლო? და იმ კაცზე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს შესწირა, რომელიც თავის ერს თავ-განწირულად და ერთგულად ემსახურებოდა,—რას იწერება «Новое Время»-ს კორრესპონდენტი:

> გამბეტა, როგორც მოგეხსენებათ, ნიცაშია დამარხული. ამ დღეებში სამი წელიწადი შესრულდა, რაც ეს დაუვიწყარი მამულის შვილი გარდაიცვალა. მე დარწმუნებული გიყავი, რომ ამ დღეს ამის საფლავზე ბლომა ხალხი შეიკრიბებოდა და ღირსეულად მოიხსენებდა საფრანგეთის უკეთესს შვილს. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც სასაფლაოზე მივედი და ორიოდ კაცის მეტი არავინ დამხვდა.
>
> სხვა დროს მაინც ბევრი ხალხი იარება-მეთქი, ვკითხე სასაფლაოს ყარაულს.
>
> — წინად კი ბევრი დადიოდაო და ახლა-კი აღარაო. პირველს ხანებში ყოველ დღე ერთი მაღალის ტანისა, ეგრე ოცდა ათი წლისა, სულ შავებში ჩაცმული ქალი მოდიოდაო; მაგრამ ერთხელ მას გამბეტას მამა შეჰხვდა და იმის უკან აღარ გაუვლიაო.
>
> — ვინ იყო-მეთქი ეს ქალი?
>
> — არ ვიციო. ამბობენ ვითომ გარდაცვალებულის კარგი ნაცნობი იყოვო; იმ ქალის სახელი და გვარი მარმარილოს ქვაზეა დაწერილი ლექსით; ეს ქვა თითონ იმ ქალმა დაადგა გამბეტას საფლავს... გამბეტას საფლავს პატარა ვიწრო ადგილი უჭირავს სხვა საფლავებ შუა, ვერც საფლავია ისე შემკული, როგორც გამბეტას შეეფერებოდა.

Sic transit gloria mundi!

⁂

საკვირველი აჭეხილი ქალაქია ეს მოსკოვი! აიჩემებს ერთს რასმეს და გათავება აღარ იცის. აი ეხლაც გამოფენა აუტეხნია. რა არა ნახეს მოსკოველებმა ამ გამოფენაზე: ღორი, ძროხა, ცხვარი, მგელი და კიდევ სხვას ვინ ჩამოსთვლის, აი ეხლა ძაღლებს მისჩერებიან. ბევრი სასაცილო ამბავი ხდება თურმე ამ გამოფენაზე:

> ძაღლები გალიებში არიან დამწყვდეულები, გვამბობს «*Новое Время*»-ს მოსკოველი ფელეტონისტი, ერთი პატარა ყმაწვილი ძაღლებმა კინაღამ არ შესჭამეს, თურმე ექსპერტი ეგონათ. ერთი მანდილოსანიც ძალიან გაჯავრეს. ამ მანდილოსანს თვალებზე «ლორნეტი» გეეკეთებინა და დიდის ყურადღებით შინჯავდა ერთს ბანჯღვლიანს ძაღლსა, მაგრამ, საკვირველია, ვერც თავი უპოვნა ამ ძაღლსა და ვერც კუდი. ჩვენს მანდილოსანს ერთი კარგი ნაცნობი შეჰხვდა.—აი რა მშვენიერი ძაღლიაო, მიუბრუნდა მანდილოსანი თავის ნაცნობს, მაგრამ ვერ გამიგიაო თავი სადა აქვსო.
>
> ნაცნობმა შეჰხედა გაკვირვებით თავის «მობაასეს» და უთხრა:—ეგ სადაური ძაღლია, ეგ ხომ ტყავიაო!

ეს კი სწორედ ახირებული ცილის წამებაა ქალების მიმართ: ძაღლსა და ტყავსა როგორ ვეღარ გაარჩევდა. ეს ცილის წამება ფელეტონისტის სვინიდისზე მიგვიგდია.

⁂

ვარშაველებს მოსკოველებისთვის გადაუჭარბებიათ. აი «Петербургскія Вѣдомости»-ს ვარშავის გაზეთებში რა გამოუჩხრეკიათ:

> ვილაცა ბ-ნს მირეცკის განუზრახავს ვარშაველი ლამაზი ქალების ალბომის გამოცემა. ალბომი დრო გამოშვებით გამოვა რვეულებათ. თითო რვეულში ექვ-ექვსი სურათი იქნება ყველაზე ლამაზი ქალებისა, რომელიც-კი ვარშავაში მოიპოვება. პირველი რვეული მზადდება კიდეცაო და ჩქარა გამოვაო.

რა ჯავრი მოუვათ ჩვენს ქალებს! რამდენჯერ ჩაიხედამენ სარკეში და რა შურის თვალით შეჰხედვენ ბედნიერ ვარშავის ქალებს!

დამაკვირდი!

ისარი და პირით სიტყვა,
რა გასტყორცო, არ მობრუნდეს.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

ურვა მამაა და სიყვარული დედაა სიბრძნისა. (ბერნე)

⁂

სამკვიდრო მონისა იქ არის, სადაც ჯოხი და მათრახია. (ჰეინე)

⁂

ვისაც თავის-თავი ვერ შეუმაგრებია, იმას არც წყრა შეუძლიან. (ბუალო)

⁂

ვისაც გამარჯვება მოუწადინებია, ის წინადვე ნახევრად გამარჯვებულია. (როტრუ)

⁂

სიყვარული სულელისა ანუ ზნეობა-წამხდრისა შეურაცხ-ყოფაა; მისი მძულვარება—ქებაა. (ბოასტ)

⁂

ვისაც სიცოცხლე არ გამოუმეტნია ნამუსისა და თავისუფლების აღსადგენად, იგი გაჩენილა მხოლოდ სირცხვილისა და მონებისათვის. (ლეოპოლდ)

⁂

ალექსანდრე მაკედონელმა თავის მეგობარს პერილს ორმოც-და-ათი ტალანტი უბოძა,—შენს ქალებს, მზითვად გაატანეო. პერილმა მოახსენა:

— ბევრია ხელმწიფეო, ათიც საკმაოაო.

— მართალი ხარ, უბრძანა ალექსანდრემ, — შენთვის ბევრია მისაღებად, ჩემთვის-კი ცოტაა მოსაცემადაო.

რუსეთი

ამ დღეებში სახელმწიფო რჩევას გადაუწყვეტია, რომ სატუსაღოებში სალდათების მაგიერ ყარაულებათ ჯამაგირით დაქირავებული პირნი იყვნენო. ახალ ყარაულებს სატუსაღო ზედა-მხედველები ერქმევათ. ამ საგნისათვის ჯერ-ჯერობით ხაზინას გადაუდვია 52,560 მან., ხოლო 1887 წლის 1 იანვრიდამ გადაიდება 78,840 მან. ეს გარემოება ბევრად განაკარგებს სატუსაღოთა მდგომარეობას. ყარაულის სალდათის მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ ტუსაღი საპატიმროდამ არსად გაჰქცეოდა და მხოლოდა და მხოლოდ თავის შუბის იმედი ჰქონდა. ახლა კი ზედამხედველს სხვა მოვალეობაც ექნება. მან მარტო ძალით კი არ უნდა იმოქმედოს პატიმარზე, ცოტაოდენი ზნეობრივი ზედმოქმედებაც უნდა იქონიოს და კი არ დაამახინჯოს საზოგადოებას მოწყვეტილი მავნე წევრი, როგორც აქამდე სდებოდა, არამედ თავის ღმობიერი ქცევით იმდენად იმოქმედოს უბედურს დამნაშავეზედ, რომ საზოგადოებას ცოტად თუ ბევრად არსებაში მოსული ადამიანი დაუბრუნოს.

ამას გარდა ეს განკარგულება თვით ჯარისათვისაც დიდი შემსუბუქებაა. ყარაულობა საპატიმროებში ბევრს დროს ართმევდა სალდათს და სრულიად აღარ აცლიდა სამხედრო სამსახურისთვის რიგიანად მომზადებულიყო.

⁂

რუსეთის დიპლომატიამ ურჩია, რომ საერთოდ ყველა დიდს სახელმწიფოებს ემოქმედნათ მშვიდობიანობის დასაცველად ბალკანებზედ. ახლა კიდევ მან ახალი წინადადება მისცა სახელმწიფოებს იმავე აზრით. რუსეთი ურჩევს სახელმწიფოებს, რომ ყველამ ერთ-ხმად სამდურავი გამოუცხადოს იმას, რომელიც, სერბია იქნება, საბერძნეთი, თუ ბოლგარია, პირველი აუტეხავს საქმეს და ომს მოიწადინებსო. ამ წინადადების შესახებ იმისი ეფიქრებათ მხოლოდ, რომ ვაი თუ გამხელდეს იმ სახელმწიფოსა ანუ სახელმწიფოთა არჩევა, რომელთაც საჭირო იქნება მაინდოს საერთოდ წინააღუდგენ და ომი გამოუცხადონ დაუწყნარებელს ბალკანიის სახელმწიფოსაო. თუნდაც რომ ეს ამორჩევა გამხელდესო, ის მაინც ცხადია, რომ ამ გვარი გადაწყვეტილება სახელმწიფოებისა ცოტად თუ ბევრად იმოქმედებს ბალკანიის სახელმწიფოებზედაო და ცოტაოდნად მაინც შეაშინებსო. რუსეთის აზრით, ჯერ უნდა რუმელიის საქმე გადაწყდეს და მერე სხვა საქმეთა განხილვას უნდა შეუდგნენ სახელმწიფონიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი— უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

19 დღე კვირა. ღირ. მაკარ ეგვიპტელისა, ანტონ მარტყოფელისა, მიიცვ. მე VI საუკ. სომეხთა: პირველი კვირა შობისა და ნათლის-ღებისა შემდეგ. კათ. ჰენრიხისა.

გენ. მაიორი ტუჩკოვი გაემართა კავკასიის გრენადერის პოლკით სამეგრელოს დასაპყრობად, მაგრამ იმერეთის მეფემ სოლომონმა II-ემ არ შეუშვა. ხოლო როცა თ. ციციანოვი მივიდა იმერეთის სამზღვარზე ჯარითა და მოითხოვა მორჩილება, მეფე სოლომონ არამც თუ ეურჩა, არამედ თვითონვე სთხოვა თავადს ციციანოვს, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებულ იქმნას, 1804 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13—42. ტფილისში მზე ამოდის 7—14; ჩადის 5—14;. მთვარე ამოდის 5—1 ნდ. ჩადის 2—40 ნდ.

20 დღე ორშაბათი. ღირსისა მამისა დიდისა ევთიმი განდეგილისა. სომ. წმ. თეოდორე მეფისა, ყრმათა ეფესიელ. კათოლ. ფამინისა და სებასტიანისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13—51; ტფილისში მზე ამოდის 7—13. ჩადის 5—15. მთვარე ამოდის 6—4 დილ. ჩადის 3—51 დ.ნ

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2¼ „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ „
მე-2 ხარისხისა	3½ „
მე-3 —	3 „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 „
2 —	7 „
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 „
ცხვრის ხორცი	7 „
ღორის ხორცი 4-ლის ხარისხ.	5 „
2-ის ხარისხ.	4 „

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

განცხადებანი

მსურს ვიყიდო მამული

გორის მაზრაში, სიარტიი, არა ნაკლებ 400 დესიატინისა. მამული 15 ვერსზე უშორეს არ უნდა მდებარეობდეს რკინის გზის ლიანდაგიდგან. ყიდვა მინდა ისე, რომ ბანკის ვალი მ. ვიტგართო და ჩემზედ გადმოვიტანო

(3—2)

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა სახელმძღვანელო რუსულის ენისა **Начальный Курсъ русскаго языка для грузинъ)**, შედგენილი ვერ. კალანდარიშვილისა, **მერვე გამოცემით**, რომელიც სრულიად გადაკეთებულია იაკობ გოგებაშვილის მიერ. ეს ახალი გამოცემა იპყრობს; ლექსიურს განყოფილებას, პირველად შეტანილს წიგნში, ხელ-ახლად შედგენილს რუსულს ანბანს ბეჭდურს და ხელ-ნაწერსა;— განყოფილება სიტყვათა და ფრაზათა შემოკლებულია და მოშორებული გრამმატიკულუს განმარტებათა, ქრისტომატიაც გარდაკეთებულია და შეიცავს ახალს: მოთხრობებსა, ლექსებსა, აღწერათა (სურათებიანსა) და თავდება რავდენიმე სურათებიანი მოთხრობით საღმრთო ისტორიიდგან. უწინდებურად გამოცემას ბოლოში აქვს ჩამატებული რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც იპყრობს სამი ათასამდის სიტყვასა. ფასიც დაკლებულია და წიგნი ღირს ცხრა შაურად. ვინც ერთბაშად იყიდის ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ოცის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად; ვინც წაიღებს არა ნაკლებ ორმოცდა ათის ცალისა, წიგნი მიეცემა 36 კაპეიკად. გამოცემა აწყვია გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან (**Кавказская книжная торговля**).

8—2

Дозволено цензурою Тифлисъ 18 января, 1886 года   ქქთიმე ი. ხელაძის სტამბა სასპერნის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში.   რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**